



ეკატერინე ვალერიანის ასული გიგოლაშვილი დაიბადა 1975 წლის 21 დეკემბერს, ქალაქ ლაგოდეხში.

1992 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩააბარა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1997 წელს, ხოლო 2004 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2005 წელს წარმატებით დაამთავრა აუდიტორული ფირმა „ორბი“-ს სასწავლო კურსები ფინანსების განხრით, 2010 წლიდან არის სერტიფიცირებული აუდიტორი ზოგადი აუდიტის სფეროში.

ეკატერინე გიგოლაშვილი შრომით საქმიანობას პედაგოგიკის სფეროში ეწეოდა 1993-2005 წლებში, ხოლო 2005 წლიდან დღემდე საქმიანობს ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით, ამავე განხრით აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობასაც.